

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
რიგგარეშე სხდომის ოქმი №1

ქ.წალენჯიხა

2019 წლის 17 იანვარი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია

საკრებულოს 30 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 26 დეპუტატი: დარეჯან დადიანი, მათა მიქავა, თენგიზ ფიფია, სოლომონ სარია, დალი კვარაცხელია, მანანა ჭანია, დავით ბელქანია, ვალერიანე კვარაცხელია, გოჩა ლიპარტია, ანზორ ძამამია, ზურაბ სამუშია, იაგო მიქავა, კახაბერ ჯოლოხავა, დავით ფიფია, ზაკურ სონგულია, ლევან შელია, დათა კუკავა, თეა ხასაია, ზაჩუკი უბილავა, ნონა მიქავა, ავთანდილ გაბელია, ელგუჯა მესხია, დათა აკობია, ირაკლი ხარჩილავა.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერი ბესიკ ფარცვანია, საკრებულოსა და მერიის თანამშრომლები.

სხდომა დაიწყო: 12:00 სთ.

სხდომა დასრულდა: 12:45 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი. საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 26 დეპუტატი; წინააღმდეგი- არცერთი.

დღის წესრიგი:

1. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მერის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: ზურაბ სამუშია-მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დაგეგმვის განყოფილების უფროსი

2. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური პროგრამებით გათვალისწინებული დახმარებების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ 2018 წლის 28 დეკემბრის N44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მერის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: მერაბ შონია- მუნიციპალიტეტის მერიის შრომის საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის უფროსი

მოისმინეს: 1. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა თეა სარიამ.

საკრებულოს წევრმა ავთანდილ გაბელიამ აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხის გატანა საკრებულოს სხდომაზე არის მხოლოდ მერის პრეროგატივა და ის რომ ეს საკითხი გამოაქვს სხვა თანამდებობის პირს ეს არის საკრებულოს უპატივცემლობა.

სხდომის თავმჯდომარემ ბ.ნ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 24 დეპუტატი, წინააღმდეგი - 2 , ავთანდილ გაბელია, ელგუჯა მესხია) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N1)

მოისმინეს: 2 „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური პროგრამებით გათვალისწინებული დახმარებების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ 2018 წლის 28 დეკემბრის N44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა მერიის შრომის საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის უფროსმა მერაბ შონიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

კენჭისყრის დაწყებამდე სხდომათა დარბაზი დატოვეს საკრებულოს წევრებმა დალი კვარაცხელიამ და დათა აკობიამ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ-ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 24 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N 2)

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე:  თემურ ღვინჯილია

